

მრავლობითი რიცხვის -თა სუფიქსიან ფორმათა  
გამოყენების შესახებ ახალ სალიტერატურო ქართულში.

ქართულ ენაში სახელის მრავლობითობის აღსანიშნავად ორგვარი წარმოება გვაქვს: ერთი -ებ სუფიქსიანი, მეორე კი — -ნ და -თ(ა) სუფიქსებიანი. -ნ გამოიყენება სახელობითში, აგრეთვე მიმართვის ფორმაში (წოდებითში), -თ(ა) კი — მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში. -თა სუფიქსი იშლება, გამოიყოფა ა. ეს იგივე ოდენობაა, რაც მხოლოდობითი რიცხვის მიცემითი, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნებთან გვაქვს: -ს(ა), -ის(ა), -ით(ა). ა. შანიძე ვარაუდობს, რომ ეს ნართაული ა მსაზღვრელო ნაწილაკის ნაშთია და ფუნქციით. ევროპულ ენებში ხმარებული მსაზღვრელო ნაწევრის ბადალი<sup>1</sup>. ნ. მარისა<sup>2</sup> და კ. დონდუას<sup>3</sup> აზრით, ა, რომელსაც ნ. მარმა ემფატიკური ანუ მეტი გამოხატულებითი ძალის მქონე უწოდა, მომდინარეობს ჩვენებითი ნაცვალსახელისგან (\*ჰა). ა ხმოვანს მსაზღვრელად მიიჩნევს არნ. ჩიქობავაც<sup>4</sup>.

ამჟამად -თა სუფიქსს ორი ფუნქცია აქვს: იგი აღნიშნავს ბრუნვასა და რიცხვს. ზოგი მკვლევრის აზრით თავდაპირველად ამ სუფიქსს

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 48.

<sup>2</sup> Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, § 34, გვ. 22—23.

<sup>3</sup> К. Д. Дондуа, К вопросу о родительном эмпатическом в древнелитературном грузинском языке: Известия АН СССР, Отделение гуманитарных наук, 1930, გვ. 209, 217.

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1942, ტ. III, № 6, გვ. 619—623; აგრეთვე კრებულში: სახელის ბრუნვების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, გვ. 265—269.

მხოლოდ ერთი ფუნქცია უნდა ჰქონოდა, იგი რიცხვზე მიუთითებდა (ნ. მარინ<sup>5</sup>, კ. დონდუა<sup>6</sup>, არნ. ჩიქობავა<sup>7</sup>).

ა. შანიძე ფიქრობს, რომ -თ მრავლობითობის გამომხატველიც იყო და რამდენიმე ბრუნვის აღმნიშვნელიც<sup>8</sup>.

ეს -თა სუფიქსი მოქმედია ახალ ქართულში. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა (პირველ რიგში პრესისა და სამეცნიერო ლიტერატურის ენა) ფართოდ იყენებს -თა სუფიქსს. განსაკუთრებით ხშირად იხმარება -თა სუფიქსიანი ფორმა ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციით. მოგვყავს ზოგი მაგალითი პრესიდან:

სასწავლო დაწესებულების მოსწავლე თა კონცერტი („თბილისი“).

მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი („თბილისი“).

ქართველ მოქანდაკეთა ახალი ნამუშევრები („კომუნისტი“).

ეს არის ერთ-ერთი ახალი მეთოდი პლაზმის შენადეღთა მიღებისა („კომუნისტი“).

წესდების შემსწავლელთა დასახმარებლად გამოცემულია სამი ბროშურა („ახ. კომ.“).

მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრთა ნაწარმოებების ჯგუფური გამოფენა („თბილისი“).

დროადრთ ვულკანის კრატერის აფეთქებათა ყრუ გუგუნი არყევს ახლომასლო მიდამოებს („თბილისი“).

ქუხილითა და შხუილით უწევდა წინააღმდეგობას ენისეი მშენებელთა შეტევას („კომუნისტი“).

ამიერკავკასიის რკინიგზელთა ცხოვრებაში წელს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა („თბილისი“).

-თა ნათესაობითის ფუნქციით რომ ხშირად იხმარება, ამის შესახებ არაერთხელ აღნიშნულა სპეციალურ ლიტერატურაში (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, პ. ფოგტი). არნ. ჩიქობავა „ქართული ენის ზოგად დახასიათებაში“, რომელიც უძღვის ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის I ტომს, წერს, რომ „ახალი ქართული ფართოდ იყენებს -თ-ა ფორმანტს ნათესაობითის ფუნქციით: მეცნიერებათა აკადემია... მშრომელთა დეპუტატების საბჭო... კოლმეურნეთა შრომითი აქტივო-

<sup>5</sup> დასახელებული ნაშრომი, გვ. 37.

<sup>6</sup> К. Д. Дондуа, Об агглютинативном характере грузинского склонения: Доклады Академии наук СССР, 1931, гв. 63—68; აგრეთვე კრებულში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, გვ. 339—344.

<sup>7</sup> არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, 1954, გვ. 67—77; მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. X, 1939; ქართული ენის ზოგადი დახასიათება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, გვ. 041.

<sup>8</sup> დასახელებული ნაშრომი, გვ. 48.

ბა...“ და სხვ.<sup>9</sup> იქვე აღნიშნულია, რომ **-თ-ა** ფორმატიანი ნათესაობითი ზედსართავის მაგივრობას ეწევა, მაგ.: **საბჭოთა ხელისუფლება**, **პიონერთა ბანაკი**, **ქალთა საერთაშორისო დღე**, **მუშათა საკითხი...**

ჰანს ფოგტსაც თავის ქართული ენის გრამატიკაში **-თა** სუფიქსზე მსჯელობისას მოჰყავს ანალოგიური მაგალითები, მაგ.: **საბჭოთა კავშირი**, **მუშათა კლასი**, **კლასთა ბრძოლა**, **მწერალთა სასახლე...**<sup>10</sup>

**-თა** სუფიქსი ნათესაობითის ფუნქციით ფართოდაა გავრცელებული ტერმინოლოგიურ გამოთქმებში, სხვადასხვაგვარ სახელწოდებებში, სამეცნიერო ლიტერატურაში (განსაკუთრებით სტატიათა სათაურებში) და სხვ. მაგ., ვამბობთ: **მასალათა** გამძლეობა, **ხმოვანთა** მონაცვლეობა, **მცენარეთა** დაცვის ინსტიტუტი, **ცნობათა** ბიურო, **დედათა** და **ბავშვთა** ოთახი, **მამაკაცთა** და **ქალთა** საპარაკმახერო, **პიონერთა** სასახლე, **ყრუმუნჯთა** საზოგადოება, **მხატვართა** კავშირი; **სხდომათა** დარბაზი, **სტუდენტთა** ქალაქი, **რეჟისორთა** კოლეგია, **ეროვნებათა** საბჭო, **ანთროპოლოგთა** და **ეთნოგრაფთა** საერთაშორისო კონგრესი, **ხალხთა** მეგობრობა, **მკითხველთა** კონფერენცია, **საჩივართა** და **წინადადებათა** წიგნი და პრაველი სხვა.

ამ მაგალითებში (განსაკუთრებით ზოგ მათგანში) შეუძლებელი არაა ვიხმაროთ **-ებ** სუფიქსიანი ნათესაობითი, მაგ., **ცნობების** ბიურო. მაგრამ აქ და მსგავს შემთხვევებში ტრადიციით განმტკიცდა თანიანი ფორმა. არსებობს **საბჭოების** ხელისუფლება და **საბჭოთა** ხელისუფლება, მაგრამ ამ უკანასკნელმა პოვა გავრცელება და დამკვიდრდა.

სამეცნიერო ტერმინოლოგიების გადათვალისწინებისას ერთბაშად შეეწინააღმდეგება, თუ რამდენად ხშირია **-თა** სუფიქსიანი მრავლობითი ტერმინების წარმოებისას, განსაკუთრებით ტერმინოლოგიურ გამოთქმებში. მაგ.: **თბომაფაღთა** დეპო, **მანქანათა** დეტალები, **იონთა** დეფორმაცია, **სინქარეთა** დიაგრამა, **სიმძლავრეთა** დიაპაზონი და სხვა. მართალია, წარმოების ეს წესი ყოველთვის არაა გამოყენებული და **მაგმურ დინებათა** ჰიპოთეზის და **სექტორულ ფართობთა** ჰიპოთეზის გვერდით გვაქვს **ბრტყელი კვეთების ჰიპოთეზა**, ან **მარეაგირებელ ნივთიერებათა აქტიურობის** გვერდით — **სუფთა სითხეების აქტიურობა**, მაგრამ უფრო ხშირი თანიანი ფორმებია.

სამეცნიერო ლიტერატურაშიც ნათესაობითი ბრუნვის ფორმა უპირატესად თანიანი იხმარება. საენათმეცნიერო სტატიების ორ კრებულში („იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, XIII ტ. და „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“) მოთავსებული 26

<sup>9</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, გვ. 041.

<sup>10</sup> H. Vogt, Esquisse d'une grammaire du géorgienne, Oslo, 1936, გვ. 36—38.

სტატიის სათაურებიდან, სადაც მრავლობითი- რაცხვის ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელია ხმარებული, 20-ჯერ. თანინი მრავლობითია და მხოლოდ 6-ჯერ -ებ სუფიქსიანი.

მაგ.:

„მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში“.

„მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების, წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში“.

„გერძელი ხმოვნების საკითხისათვის სენურში“.

„ერგატივის ნიშნების გამოყოფისათვის არჩიბულში“.

ღა ამის გვერდით, შემთხვევათა უმრავლესობაში:

„გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში“.

„მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში“.

„ბერძნულ მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში“.

„საკუთარ სახელთა ბრუნვა ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში“.

„ხშულ-მსკდომ თანხმოვანთა კლასიფიკაციისათვის ქართველურ ენებში“.

„ხმოვანთა დაკარგვა ქართული ენის ზოგიერთ კილოში“

ღა მრავალი სხვა.

მიცემითი ბრუნვის შესახებ ჰ. ფოგტი 1936 წელს წერდა, რომ თანინი მრავლობითი ახალ ქართულში იშვიათად გამოიყენება<sup>11</sup>. ასეთი მიცემითის ნიმუშად მოყვანილია ს. კლდიაშვილის ფრაზა: „იგონებდნენ დარჩენილთ“... არნ. ჩიქობავაც წერს, რომ მიცემითის ფუნქციით -თ-ა ფორმანტი იშვიათია<sup>12</sup>.

დღევანდელი პრესის, რადიოს, სამეცნიერო ლიტერატურის ენაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ -ებ-იანი მრავლობითის გვერდით მიცემით ბრუნვაში თანინი ფორმებიც იხმარება, ოღონდ მიცემითში ბრუნვის ნიშანი უხმოვნოდაა წარმოდგენილი. მაგალითად<sup>13</sup>.

„აკომუნისტი“:

ქალაქის მცხოვრებთ ახალი უბედურების საფრთხე შეექმნათ.

დაზარალებულთ ემჩნეოდათ მოწამვლის სიმპტომები.

შეკრებილთ მიესალმა მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

[ტოქსოლოგიაში] ახალშობილთ არაჯანმრთელი დედისაგან გადაეცემათ. ექიმები რჩევა-დარიგებას აძლევდნენ ტანკერზე მყოფთ.

სასწავლებელში ჩარიცხულთ მიცემით სტიპენდია საერთო წესით.

იუნაიტედ პრესის... სააგენტო მკითხველთ მოაგონებს, რომ...

მცოდნეთ როლი აკვირვებთ ლაზარევიჩის კარგი სატურნირო მდგომარეობა,

11 ჰ. ფოგტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 36.

12 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, გვ. 041.

13 მაგალითები მოყვანილია 1962—1968 წწ. ქართული პრესიდან.

არქიტექტორებსა და მშენებლებს უზრუნიათ იმისათვის, რომ კურორტზე ჩამოსულთ დასვენების საუკეთესო პირობები ჰქონდეთ.

რომი, სადაც ბევრი ძველი პარკია, მოკლებულია შესაძლებლობას დასასვენებლად მისცეს ისინი თავის მცხოვრებთ.

ორჯონიკიძის სახელობის პარკის ცენტრალური საგამოფენო პავილიონი სილამაზის მსახურთ დაუპყრიათ.

ჯილდო გამარჯვებულთ!

დროშები დირსეულთ!

საპატიო წოდებანი დირსეულთ!

ახალშობილთ უკვე ოთხი დღე შეუსრულდათ. ისინი კარგად არიან.

**„ახალგაზრდა კომუნისტი“:**

ბედნიერება უსურვეს ახალდაქორწინებულთ.

სკოლის დირექტორმა დამსწრეთ გააცნო უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება.

ინსპრუკის ხანდაზმულ მკვიდრთ დღესაც ახსოვთ 1932 წლის 13 აპრილი.

დარბაზში შემოსულთ სცენაზე მოფუსფუსე დეიდა ნინო ეგებება.

უნივერსალის დირექტორმა შეკრებილთ სთხოვა გამოეთქვათ თავიანთი გულისტივილი.

**„თბილისი“:**

ბონის ხელისუფალთ განზრახული აქვთ მოაწონ არჩევნები.

ხელისმომწერთ შეაქვთ ბე — ერთი ტომის ღირებულება.

მადლობა ოლიმპიურ ასპარეზობაში გამარჯვებულთ!

სიმფონიურმა კონცერტმა თბილისის მუსიკის მოყვარულთ სიამოვნება განაცდევინა.

გამორჩენილმა ქართველმა მსახიობმა დამსწრეთ მადლობა გადაუხადა.

**„მნათობი“:**

ყოველთვის შესწევთ თუ არა ამ უკანასკნელთ უნარი შეუმცდარი დასკვნის გამოტანისა?

აგარაში მოყოლელთ წყალი თითქმის არ გააჩნდათ.

**„ცისკარი“:**

უეცრად ძლიერმა ქარმა დაუბერა და მოსაუბრეთ სახეში ხის ხმელი ფოთლები შეაყარა.

სინტაქსი ერთ-ერთი ის საიმედო უბანია, რომელიც არქაიზაციის მომხრეთ წარმოდგენელ თავისუფლებას ანიჭებს.

**„დროშა“:**

ფილმი აღიდებს კათოლიკურ ეკლესიას და მის მსახურთ.

**„საბჭოთა ხელოვნება“:**

მხოლოდ გულუბრყვილოთ ჰგონიათ, თითქოს კინოობიექტივი ყველაფერს „აითვისებს“.

იაფფასიანი ვოდვილების მოყვარულთ იქნებ ეს არც მოსწონდეთ.

**„თბილისის უნივერსიტეტის შრომები“:**

საბა სათანადო პასუხს აძლევს მობირდაბირეთ.

გადაამწერთ სხვა საფუძველიც ჰქონდათ ლექსიკონის გასაერთიანებლად-რადიოგადაცემიდან:

საშუალო განათლების მქონეთ მიეცემათ სტიპენდია საერთო წესით.

**რამდენიმე ნიმუში მხატვრული ლიტერატურიდან:**

მცოდნეთ ვეკითხებოდი (ე. გამხ.).

ასე ახსოვდათ ძველ მოქალაქეთ (ს. კლდ.).  
ჰიშკარში ჩამოსულთ შეზარებები შეხვდნენ (ნ. ლორთქ.).  
მებრძოლთ ისე ვხედავდი, თითქოს ჩემს თვალწინ იბრძვიან-მეთქრ  
(ს. მთვარ.).

თვალი ძლივს სწვდება მიმავალთ (გ. აბაშ.).  
ამასობაში გავუთანაბრდით ნაპირზე მდგომთ (მ. ელიოზ.).  
[ამბერკიმ] კარიც ისე გამოალო, თითქოს შინ მყოფთ კი არა, გარეთ ქვეყანას  
ებარებოდა (ო. იოს.).

ნოდარმა სუფრაზე მსხდომთ თვალი გადაავლო (რ. ჭეიშ.).  
ახლა იშვიათად ნახავ ჭორისათვის მოცლილთ (რ. ბეჟან.).

**სამეცნიერო ლიტერატურიდან:**  
ასეთი ცვლილება არ შეეძლოთ გადამწერთ შეეტანათ (არნ. ჩიქობ.).  
ლოგიციზმი... ვერ იძლევა წინადადებისა და მისი. ელემენტების საჭირო და გა-  
მოსადეგ განსაზღვრებათ (არნ. ჩიქობ.).  
სენატორში ამ კომპლექსის ძველისძველი ხასიათი მკვლევართ არ აეჭვებთ  
(გ. მელიქ.).

დაღლილთ მეორე დღის იმედით ჩაგვეძინა (დ. ოჩიაური).  
ამ გზით გავლენიან მხარდამწერთ და მოკავშირეებს იძენდნენ (გ. ჯამბ.).

მოთხრობითი ბრუნვის შესახებ შეიძლება ის ითქვას, რომ დღეს  
-თა || -თ ფორმანტი ამ ბრუნვას აღარ აღნიშნავს. მართალია, თითო-  
ოროლა გამონაკლისი ამ შემთხვევაშიც არის. მაგ.:

ჩინეთის ხელისუფალთ გააძლიერეს... პროვოკაციები საბჭოთა დიპლო-  
მატების შიშართ („კომუნისტი“).

დამსწრეთ ხუთი წუთის დუმილით სცეს მათ პატივი („კომუნისტი“).

მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებებში ჩვეულებრივ ეს გამონაკლი-  
სები მაშინ გვხვდება, როცა ნაწარმოების ენა სტილიზებულია. მაგ.:

არ ვლენან გზადა:  
იციან მგზავრთა,  
რომ მგლისა არის ველი ვრცეული (ა. კალანდ.).

ვ. რიდის „ლეოპარდში“, რომელიც რ. თვარაძის მიერაა თარგმნი-  
ლი, გვხვდება ასეთი ფრაზა:

ვერც შავკანიან მეომართ გვძლიეს და ველარც თიერთკანიათა.

ჯერ კიდევ ილიას, აკაკის, ვაჟას ნაწერებში -თა || -თ ფორმანტი მო-  
თხრობითის ფუნქციით ხშირი იყო, დღეს კი ამ ფუნქციით იგი პრო-  
დუქტიული აღარაა.

ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვების ზემოთ მოყვანილ მაგალი-  
თებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე  
სალიტერატურო ენაში -თ(ა) ფორმანტი მიცემით ბრუნვაშიც, საკმაოდ  
პროდუქტიულია. გარდა ამისა, იმის თქმაც შეიძლება, რომ საერთოდ  
სალიტერატურო ენაში ხელოვნურად გატარდა და დღეს უკვე მხატვ-

ზული ლიტერატურის ენაშიც იკვლევს გზას ფუნქციითა განაწილება  
-თა ფორმანტის ხმოვნიანსა და უხმოვნო ვარაენტებს შორის: -თა გა-  
მოიყენება ნათესაობით ბრუნვაში, -თ კი — მიცემითში. მაგ.: ვაზ. „თბი-  
ლისი“ წერს: „ხ ე ლ ი ს მ ო მ წ ე რ თ ა საყურადღებოდ! „სოიუზპეჩა-  
ტი“ მოაგონებს ხ ე ლ ი ს მ ო მ წ ე რ თ, რომ ხელისმოწერა... მთავრ-  
დება 24 ნოემბერს“. ან „კომუნისტი“ წერს: „პრეზიდენტმა სამხმარი  
გამოუცხადა სტიქიური უბედურების მსხვერპლთა ნათესაებს  
და დახმარება აღუთქვა დაზარალებულთ“; ფლობერის „სა-  
ლამბოს“ ქართულ თარგმანში არის ასეთი ფრაზა: „ტომობრივი სხვაო-  
ბა მოისპო, მაგრამ ბედი კვლავ აშორიშორებდა დამარცხებულ-  
თა შთამომავალთ და გამარჯვებულთა ნაშიერთა“.  
ყველგან, ერთსა და იმავე წინადადებაში ნათესაობით ბრუნვაში  
-თა ფორმანტია, მიცემითში — -თ.

ამ წესიდან გამონაკლისს გვიჩვენებს ნათესაობით ბრუნვაში დას-  
მული ზოგი სახელი. მაგ.:

ფ რ თ ო ს ა შ თ უ რ ი ა მ უ ლ ი (გ. ლეონ.).

ქართული ანბანის ზეპირად დასწავლის მიზნით მაკვს ასოთ რიგი გაულექ-  
სავს (არნ. ჩიქობ.).

ხმელთაშუაზღვეთის ჯგუფი ენათ ოჯახებისა... (არნ. ჩიქობ.).

განსაკუთრებით ეს ეხება ასეთ შესიტყვეებებს: ხმოვანთ მონაცვ-  
ლეობა, ლექსთ წყობა, ანბანთ რიგი და სხვა.

ეს გამონაკლისები ადვილად იხსნება. ჯერ ერთი, აქა-იქ კიდევ  
შემორჩენილია ძველი ვითარება, აღნიშნული წესი ჯერ მტკიცედ ფეხ-  
მოკიდებული არაა: ფრთოსანთ ურიაშულიც შეიძლება ვიხმართო და  
ფრთოსანთა ურიაშულიც, ასოთ რიგიც და ასოთა რიგიც, ენათ ოჯახე-  
ბიც და ენათა ოჯახებიც; ასეთი სურათი ჯერ კიდევ ილიას, აკაკის, ვა-  
ჟას ნაწერებში შეინიშნებოდა.

მეორე, ლექსის ენა შეიძლება არ განარჩევდეს გამოყენების  
თვალსაზრისით ანიან და უანო ფორმებს ერთმანეთისაგან.

ამასთან, იმ რიგის მაგალითები, როგორცაა: ხმოვანთ მონაცვ-  
ლეობა, ლექსთ წყობა და ანბანთ რიგი, კომპოზიტებია ან კომპოზი-  
ტებთან გათანაბრებული გამოთქმები, ხოლო კომპოზიტებში ძველთა-  
გან თანი, როგორც ცნობილია, უხმოვნოდ იყო წარმოდგენილი. გარ-  
და ამისა, ასეთი მაგალითები თუ ზოგჯერ ორ სიტყვად დაწერილი  
გვხვდება, ეს წმინდა ორთოგრაფიული ფაქტია და გამოთქმის აგებუ-  
ლებასთან კავშირი არა აქვს.

-თა ფორმანტის უხმოვნო და ხმოვნიან სახეობათა ხმარებულობის  
თვალსაზრისით ქართული ენის მთელ განვითარებას რომ გადავავლოთ  
თვალი, შემდეგ სურათს დავინახავთ: ძველ ქართულში ზოგადი სახე-

ლების თანინანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში სახელი დაირთავს - ახმოვანს. მაგალითები:

**მოთხრ.:**

და თუ რამე შეეცოდეთ, ვითარცა კაცთა საწუთროდსათა და სოფლის მოყუარეთა, მოგვტყევენ... („**შუშანიკის წამ.**“).

ხოლო მსახურთა მათ აღასრულეს ბრძანება მარზვანისა მის („**ევსტ-მცხეთ. მარტვ.**“).

**მიცემ.:** ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეკამა პური?! („**შუშანიკის წამ.**“).

... აღდგა პიტიახში, გვიწოდა ჩუენ ხუცესთა და მივედით („**შუშანიკის წამ.**“).

ქუეყანა იგი ქართლისა მარკინთთა უპყრის („**მარტვ. ჰაზო. ტფ.**“).

**ნათეს.:**

დედათა ბუნება იწრო არს („**შუშანიკის წამ.**“).

გყო შენ მამად ნათესავთა მრავალთა და ერთა ურიცხუთა. („**ევსტ. მცხეთ. მარტვ.**“).

ძველი ქართულისათვის ეს წესია. აგრეთვე წესია ისიც, რომ უხმოვნო ფორმა წარმოდგენილი კომპოზიტებში, როცა ამ კომპოზიტის პირველი ნაწილი ნათესაობითსა თუ მიცემით ბრუნვაში დასმული სახელია. მაგ.: ბრძენთ-მთავარი, მღვდელთ-მთავარი, დედათ-დიაკონი, მეპურეთ-მოდლუარი, გულთ-მეცნიერი, თუალთ-ღება, კაცთ-მოყუარე, ჯელთ-საქმარი, ჯორცთ-შესხმა, ჯელთ-გდება, ჯელთ-ღება, თუალთ-ყოფა<sup>14</sup>.

მაგრამ უკვე „ამირანდარეჯანიანში“ გვაქვს პარალელური ფორმები: ვაზირთ-უხუცესი და ვაზირთა-უხუცესი; ამირთ-ამირი და ამირთა-ამირი; ინლოთ მეფის და დელამთ მეფის გვერდით: ბერძენთა მეფე და ხაზართა მეფე.

ძველი ქართულის ის წესი, რომ თანინან ფორმებს ყველგან ემფატიკური ხმოვანი ახლავს, უკვე „ვეფხისტყაოსანში“ იწყებს რღვევას. იშვიათად გვაქვს უხმოვნო ფორმებიც; ჩვეულებრივია ხმოვანი ფორმები. თანინანი (გავრცობილი) ფორმები გვხვდება მოთხრობით, მიცემით და ნათესაობით ბრუნვებში.

**მაგ.:**

**მოთხრ.:**

ვაზირთა ჰკადრეს, მეფეო, რად ბრძანეთ თქვენი ბერობა? (37,1)15.

<sup>14</sup> მაგალითები ამოღებულია ივ. იმნაიშვილის წაგნიდან „სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში“, გვ. 142, 162.

<sup>15</sup> აქაც და ქვემოთაც მაგალითები მოყვანილია „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემიდან.



გამოსლვისათვის ზეიმი შექმნეს ინდოეთს მ ფ ლ ო ბ ე ლ თ ა (337,3).

მიცემ.:

უყვილა, თუ: „ძმანო, ვინ ხართ? მეკობრეთა დაგამსგავსენ!“ (198,1).

ნათეს.:

უბრძანა: „ლომო, არა გვირს შენ ომთა გარღუხდელობა“ (144,2).

მოვიდა: ჯოგი ნადირთა ანგარიშიუწომელი (75,1).

ხმოვანმოკვეცილი ფორმია ნათესაობით ბრუნვაში:

აქა, მხატვარო, დახატენ ძმათ უმტკიცესნი ძმობილნი (1373,1).

ინდოთ მეფე მხიარული ასმათს რასმე უბრძანებდა (1362,1).

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ხმოვნის დაკარგვა ლექსის საჭიროებაში გამოიწვია.

მაგ.:

დაავდო მზღვარი არაბთა, სხვათ მზღვართა არე იარა (178,2).

ნათესაობით ბრუნვაში ფორმანტის შეკვეცილი სახეობაცაა ნახმარი და შეუკვეციელიც; თითქოს ლექსი განაპირობებს ხმოვანმოკვეცილი ფორმანტის ხმარებას. „რუსულდანიანში“ უპირატესად ემფატიკური ხმოვნით გავრცობილი ფორმებია სამსავე ბრუნვაში, მაგრამ ხშირადაა უხმოვნო ფორმებიც. ამ მხრივ ბრუნვები გარჩეული არაა. სამივე ბრუნვის ფორმა გვხვდება უხმოვნოდ:

ავი შვილი ისევ დეღ-მამათ უნდა შეიწყნარონო (მოთხრობითი).

იმ დევთ ამაზე ჰქონდა პირობა (მიცემითი).

მათი ძვერება გორათ ძვერებას გვანდა (ნათესაობითი).

საინტერესოა ისეთი ვითარება, როცა ერთსა და იმავე წინადადებაში უხმოვნო ფორმაც არის და ხმოვნიანიც:

მას დღესა ჯართა ხმობა და მოქალაქეთ შემოყრა ბრძანა.

იყო... კაცი დიდებული... ხელმწიფეთ შესაღარები, უხვი, ...ლაშქართ მოყვარე, გლახაკთ მოწყალე, უღონოთა და დავრდომილთა ხელის აღმპყრობელი.

აქ ყველა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებია, ხან ხმოვანდართული, ხან — უხმოვნო.

შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ემფატიკური ხმოვანი ხმოვნით დაწყებული სიტყვის წინ იკვეცება, მაგრამ „რუსულდანიანში“ არის არაერთი შემთხვევა, როდესაც მომდევნო სიტყვა ხმოვნით იწყება და ემფატიკური ხმოვანი შეკვეცილი არაა. მაგ.:

ბრძენთა და ფილოსოფოსთა არ შეუძლია სიმხნისა და ახოვანებისა შენისა წარმოთქმა (მიცემითი).

მოვიდოდა საულ ხელმწიფე, კბილთა იღრქენდა (მიცემითი).

ჯერ ვაქია უწვერული, მაგრამ სიმაღლითა თავი დრუბელთა უწვდების (მიცემითი).

ხელთა ეჭირათ ოქროს მუჯამფარნი (მიცემითი).

ანდა, პირუკუ, ხმოვანი მოკვეცილია და მომდევნო სიტყვა თანხმონით იწყება. მაგ.:

ტირილითა და ვაებითა ქმარს მუხლთ შემოეხვია (მიცემითი).

ტახტი მნათობისა თვალისანი დახვდათ, ხელმწიფეთ საჯლომი (ნათესაობითი).

სპილოთ წამოსვლა არა ხამს (ნათესაობითი).

ზოგჯერ არა თუ ერთ წინადადებაში იხმარება შეკვეცილი და შეუკვეციელი ფორმები, ერთი და იგივე სიტყვაც ხან ემფატიკური ხმოვნითაა წარმოდგენილი, ხან — უხმოვნოდ. მაგ.:

ხელთ ეჭირათ ხონჩებით თვალი და მარგალიტი

და იქვე:

ხელთა ეჭირათ.

ან:

გლახაკთ მოწყალე და გლახაკთა მოწყალე.

ჰკითხეს დიდებულთ (მიცემითი) და დიდებულთა ეგრე თქვეს (მოთხრობითი).

ამ უკანასკნელ შემთხვევაში სხვადასხვა ბრუნვაშია სახელი: ერთხელ მიცემითში, მეორედ — მოთხრობითში.

„სიბრძნე-სიცრუისაში“ სრულად აღვსუსხეთ თანიანი ფორმები (ნაცვალსახელთა გამოკლებით). გვაქვს 426 შემთხვევა თ(ა)-ს ხმარებისა. აქედან: მოთხრობითი ბრუნვა 45-ჯერ, მიცემითი — 196-ჯერ და ნათესაობითი — 185-ჯერ. 426 შემთხვევიდან უხმოვნო ფორმაა 69. ემფატიკურხმოვანდართული — 357. ცალკეული ბრუნვების მიხედვით რომ დავანაწილოთ, შემდეგი სურათი გვექნება:

მოთხრობითი ბრუნვის 45 მაგალითიდან უხმოვნო 17-ია, ხმოვნიანი — 28.

მიცემითში სულ 196 მაგალითია; უხმოვნო — 32, ხმოვნიანი — 164.

ნათესაობითში სულ 185 მაგალითია; უხმოვნო — 20, ხმოვნიანი — 165.

აღსანიშნავია, რომ საბა ხშირად ხმარობს ხმოვანმოკვეცილ ფორმებს ლექსიკონში განმარტებისას. თვალში საცემია ხმოვანმოკვეცილი ფორმების სიხშირე ნათესაობითში. მაგ.:

**ადივება** — მარცვალთ აჯეჯლება; **აკანათი** — სირთ მახე; **ბიბინი** — ყვავილთ ფერადობა; **ბზული** — ბუზთ კმაი; **ბეგარი** — გლესთ გამოსაღები; **კუნძი** — ძელთ მონაკუთი; **კრავი** — ცხოვართ შკლი; **კლანჭი** — ბაზთ ფრჩხილი; **კიჟვა** — თვალთ ხუჭვა; **კამბარი** — მწყემსთ კარავი; **ხრამა-ხრუმი** — ქერქთ ჭამის ხმა; **ჭუხჭუხი** — მწყემსთ ბრძოლის კმიანობა; **ხუთო** — ქუაგესლთ მკურნალი.

ხშირად ერთსა და იმავე წინადადებაში ხმოვანმოკვეცილი ფორმაცაა და მოუკვეცილიც. მაგ.: **ბოლო** — ფრინველთა და თევზთ კული; **კეჟმა** — ვაშლთა და კომშთ ბოყვი; **კაკანი** — ქათამთა და კაკაბთ კმიანობა; **კუნჭული** — ბადეთ კუთხე, გინა ნაქსოვთა; **ჭრიალი** — კართა და ურემთ კმიანობა<sup>16</sup>.

მიცემით ბრუნვაშიც იხმარება როგორც ხმოვნიანი, ისე ხმოვანმოკვეცილი ფორმები. მაგ.: **ბრუ** — რათვალთა ქვეყანა ბრუნვად ეჩუენოს; **აიქუა** — აიყვანა მკლავთა; **აბავლა** — ქორთ ბავლი გაუგდო; **ბრაქაზი** — ნავი მოდიდო, რომლითაც ახლო-მახლო ვაქართ დააქუთ ნიენთი სავაჭრონი.

ე. ი. ამ პერიოდში, ძველი ქართულისაგან განსხვავებით, ენაში საკმაოდ გავრცელებულია თანიანი ფორმები ემფატიკური ხმოვნის გარეშე. ფუნქციები უხმოვნო და ხმოვნიან ფორმებს შორის განაწილებული არაა. ხმოვანმოკვეცილი ფორმა იხმარება სამსავე ბრუნვაში, ოღონდ გარკვევით ჭარბობს ხმოვანდართული ფორმები.

მეცხრამეტე საუკუნის მწერალთა ენაში კიდევ უფრო ფართო გავრცელებას პოვებს თანიანი (უხმოვნო) ფორმები. ხშირია უხმოვნო ფორმები სამსავე ბრუნვაში. მაგ., ა. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის ნაწერებში ხშირად ერთსა და იმავე წინადადებაში (ლექსის საჭიროებასთან დაკავშირებით) ხმოვნიანი ფორმაც არის და უხმოვნოც.

ილიას, აკაკის, ვაჟას და ი. გოგებაშვილის ნაწერებში ასეთი სურათია: მოთხრობით ბრუნვაში უფრო ხშირია აფაქსის ხმოვნიანი სახეობა. მაგალთები:

ეს კარგად იცოდნენ ჩვენთა წინაბართა (ილია).

ფრინველთა ხმა გაკმინდეს (ვაჟა).

ფრინველთ გააბეს... მღერა (ვაჟა).

სოფლის მასწავლებელთ უფრო ბავშვის ზნეობაზედ უნდა იმოქმედონ (ილია).

<sup>16</sup> ამ შემთხვევაში და კავშირის წინ სახელის ემფატიკურხმოვნიან ბრუნვაში დასმა ალბათ იმავე რიგის მოვლენა უნდა იყოს, როგორც თანამედროვე ქართულშია გავრცელებული.

დაიწყეს ქალ-ვაჟთ ერთად თამაშობა (ვაჟა)-  
ზღვის მცენარეთ რომ იცოდნენ... (ვაჟა).

მიცემით ბრუნვაში დაახლოებით ნახევარი ხმოვნისანი ფორმებია, ნახევარი კი — უხმოვნო. ცოტათი შეიძლება სჭარბობდეს კიდევ უხმოვნო ფორმები. რამდენიმე ნიმუში:

**ხმოვანმოუკვეცილი:**

ქ ა ჯ თ ა ე ბ რ ძ ო დ ე ს ლ ო მ - კ ა ც ი ( ა კ ა კ ი ).

ხმოვანი ასოები ჯერ კიდევ ე გ ვ ი პ ტ ე ლ თ ა ჰქონდათ (ილია).

საყდარს ავუგებ... ვანუგეშებ გ ლ ა ხ ა კ თ ა ( ვ ა ჟ ა ).

მე მსურს რამდენიმე სიტყვა მოვახსენო საზოგადო კრების წევრთა (ი. გოგებ.).

**ხმოვანმოკვეცილი:**

შემცდარია ის, ვინც ჩვენ მამა-პაპათ მძინარეებს და ზარმაცებს ეძახის (ილია).

აქედან 50 კოდი თითონ პურის მწარმოებელთ მოუნდებათ (ილია).

კაცები ხაფანგს უგებენ მტაცებელთ (ვაჟა).

[ჩაზღბ] უთვლიდა მუქარას თავის მოპირდაპირეთ (ვაჟა).

ნათესაობით ბრუნვაში უპირატესად -თა იხმარება. შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ხმოვანმოუკვეცილი ფორმებია, ოღონდ გვხვდება უხმოვნოც. მოგვყავს ამ უკანასკნელთა მაგალითები:

... რათა გაეადვილებინა სოფლებიდან ჩამოყვანა მამამაღიანთ ბავშვებისა სკოლაში სასწავლებლად (ი. გოგებ.).

ფერხთით უხსდნენ დარბაისელთ ცოლები (აკაკი).

ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათ ანდერძს (ილია). მათათ ძილი (ვაჟა).

ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაში ერთსა და იმავე ბრუნვაში დასმული სახელი ხან ხმოვანმოკვეცილია, ხან — მოუკვეცილი. ან მსაზღვრელ-საზღვრული როცა თანიანი მრავლობითის რომელსამე ბრუნვაშია, ზოგჯერ ერთ-ერთ მათგანს ხმოვანმოკვეცილი ფორმა აქვს ხოლმე დართული. ამის მაგალითებია:

სამოციან წლებში გამოსულთ მწერალთა დაიწყეს გახსენება წარსულისა (ილია).

ქაქა... წვრილთა მწარმოებელთ, ესე იგი ვლენჯაცობას, ხელიდამ გამოეცალა (ილია).

აქ თითქოს ფორმანტის განსხვავებული სახეობა ფრაზისტვის გარკვეული სტილისტიკური ნიუანსის მისანიჭებლად იხმარება.

მაგრამ უკვე 1902 წლის „მოამბეში“ და 1906 წლის „ივერიაში“ -თა ფორმანტის ხმოვნისანი და უხმოვნო სახეობები სხვადასხვა ფუნქ-

ციის მქონეა: -თა იხმარება მხოლოდ ნათესაობით ბრუნვაში, -თ კი — მხოლოდ მიცემითში<sup>17</sup>. რამდენიმე ნიმუში:

**ნათესაობითი ბრუნვა:**

უნდოდათ მხოლოდ ქალთა ჩვეულება დაეცათ („მოამბე“, 1902, № 6).

საჭიროა მოჩხუბართა გაშვლება და ერთმანეთსაგან გაშორება („ივერია“, 1906, № 15).

მესაკუთრე გლახთა მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა („ივერია“, 1906, № 15).

**მიცემითი ბრუნვა:**

თავისუფლად ვიკვლევდი ადგილობრივ ზნე-ჩვეულებათ („მოამბე“, 1902, № 4).

ინგლისელთ ისეთი დღე დაადგათ, რომ თავიანთს დაჭრილებსაც კი თავი დაანებეს („მოამბე“, 1902, № 5).

სამხედრო სამსახურის ტვირთი აწვა შეძლებულ მოქალაქეთ („მოამბე“, 1902, № 6).

კავკასიაში მცხოვრებ ეროვნებათ ექსტერიტორიული ავტონომია უნდა მიენიჭოთ („ივერია“, 1906, № 9).

შეძლება არა ვაქვს უბრალო პროტესტი გამოვუცხადოთ მოთარეშეთ („ივერია“, 1906, № 6).

ხალხზე დაშორებულთ, ყოველგვარ ადამიანურ ცხოვრების პირობებს მოკლებულთ, მუდმივ მშვიერ-მწყურვალთ რის გამეტება შეეძლოთ? („ივერია“, 1906, № 11).

მიწა ეკუთვნის მთელ ხალხს, მთელ სახელმწიფოს და არა კერძო პირთ („ივერია“, 1906, № 11).

ვაცხადებ, რომ დამნაშავეთ სასტიკად, შეუბრალებლად დავსჯი („ივერია“, 1906, № 10).

ჯარი ხშირად სისასტიკეს იჩენს და დაუნდობლად ექცევა შეკრებილთ („ივერია“, 1906, № 20).

უკიდურესმა პარტიებმა დიდი სამსახური გაუწიეს უკიდურეს მემარჯვენეთ („ივერია“, 1906, № 20).

ჩვენი გიმნაზიის მასწავლებელთ მართებთ გორკეცებულ მუყაითობა („ივერია“, 1906, № 26).

ფუნქციათა განაწილება -თ(ა) ფორმანტის ხმოვნიან და უხმოვნი ვარიანტებს შორის კარგად ჩანს შემდეგი მაგალითიდან:

ასე ვეპყრობით უკვე დაარსებულ საქმეებს და უფრო კიდევ უყურადღებოდ და გულაცრუებით იმისთანათ, რომელთა დაარსება გვესაქაროება... („ივერია“, 1906, № 20).

---

17 -თ(ა) ფორმანტიანი მოთხრობითი ბრუნვა ძალიან იშვიათადლა გვხვდება: თითო-ორილა მაგალითია, უპირატესად ფორმანტის უხმოვნი სახით გაფორმებული: ჯარისკაცთ სარდაფიდან ღვინო, ლორი და ყოველგვარი სანოვავე ამოიტანეს („მოამბე“, 1902, № 5); მეძებართ მე უკან გამოყოლეს და შეუღღნენ ჩხრეკას („ივერია“, 1906, № 6).

თითო-ოროლა გამონაკლისი აქაც გვხვდება.

მაგ., ნათესაობითი გვაქვს:

მე მ ა მ უ ლ ე თ მ ცირე რიცხვა არჩია გლებთან მორიგება („ივერია“, 1906, № 19).

მორწმუნე ათინელები თხოულობდნენ დ ა მ ნ ა შ ა ვ ე თ დასჯას („მოამბე“, 1902, № 6).

ან მიცემითში:

მრისხანე და სასტიკ მ ე ზ ო ბ ე ლ თ ა და ცეცხლს არ ებუებოდა („მოამბე“, 1902, № 6).

ასეთი გამონაკლისები ძალიან იშვიათია.

საერთოდ კი შეიძლება ითქვას, რომ „ივერიაში“ და „მოამბეში“ გარკვეული ტენდენცია იჩენს თავს: გაიმიჯნოს -თ(ა) ფორმანტიანი ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვები; ნათესაობითში -თა იხმარება, მიცემითში — -თ. „ივერიასა“ და „მოამბეში“ რომ დაისახა, იმ გზით წავიდა შემდეგ მთელი პრესა, ჩამოყალიბდა გარკვეული კანონზომიერება. ეს კანონზომიერება ლამობს წიგნური გზით საყოველთაოდ გავრცელდეს და ლიტერატურულ ნორმად იქცეს ამჟამად.